<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.07.2020, სარეგისტრაციო კოდი: 280080020.05.001.020008) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) ვებსაიტი - ამ კანონის 36^1 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისთვის შექმნილი ვებ დოკუმენტი, რომელიც მისაწვდომია ვებ ბრაუზერის საშუალებით და გამოიყენება პირის მიერ მათი მოწყობილობების (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) საშუალებით;

ნ) მობილური აპლიკაცია - ამ კანონის 36^1 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისთვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაცია, რომელსაც პირი მობილური მოწყობილობების საშუალებით იყენებს. ის არ მოიცავს პროგრამას, რომელიც აკონტროლებს ამ მოწყობილობებს (მობილურის ოპერაციული სისტემა) ან მყარ დისკს.“;

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 36^1 მუხლი:

„მუხლი 36^1. ადმინისტრაციული ორგანოსა და კერძო სამართლის ზოგიერთი სუბიექტის ვალდებულებები ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

1. ადმინისტრაციული ორგანო და კერძო სამართლის ზოგიერთი სუბიექტი ვალდებულები არიან მისაწვდომი გახადონ მათი ვებსაიტები და მობილური აპლიკაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

2. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულება ვრცელდება:

ა) კერძო სამართლის იმ სუბიექტის ვებსაიტსა და მობილურ აპლიკაციაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს:

ა.ა) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადი, უმაღლესი ან პროფესიული განათლების მომსახურების მიწოდებას;

ა.ბ) სამედიცინო მომსახურების მიწოდებას (სამედიცინო დაწესებულება) ან სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილი სოციალური დაცვის პროგრამის მიწოდებას;

ა.გ) სადაზღვევო მომსახურების მიწოდებას (მზღვეველი);

ა.დ) საბანკო საქმიანობას (კომერციული ბანკი, მიკრობანკი) ან მიკროსაფინანსო საქმიანობას (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია);

ა.ე) კომუნალური (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, წყალმომარაგება) მომსახურების ან ინტერნეტმომსახურების საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებას (ელექტროენერგის მიმწოდებელი, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი, წყალმომარაგების ლიცენზიატი, ინტერნეტმიმწოდებელი (ინტერნეტპროვაიდერი));

ა.ვ) ავტოსატრანსპორტო, საჰაერო, საზღვაო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით მგზავრთა გადაყვანის მომსახურების მიწოდებას.

ბ) კერძო სამართლის სუბიექტის იმ ვებსაიტსა და მობილურ აპლიკაციაზე, რომლის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ის ახორციელებს:

ბ.ა) სურსათის საცალო რეალიზაციას (ბიზნესოპერატორი);

ბ.ბ) ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაციას (ავტორიზებული აფთიაქი, აფთიაქი, საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – ფარმაცევტული განათლების მქონე პერსონალი ან დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის სუბიექტი ფიზიკური პირი);

ბ.გ) საფოსტო/საკურიერო მომსახურების მიწოდებას;

ბ.დ) მესამე პირის მიერ წარდგენილი პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების (მოწვევა ოფერტზე) თავმოყრასა და გავრცელებას.

3. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულება არ ვრცელდება აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლისა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მიმართ.

4. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულება არ ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოსა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იმ ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნდა 2027 წლის პირველ იანვრამდე და მათზე განთავსებული მასალა უცვლელია (დაარქივებულია) 2027 წლის პირველი იანვრის შემდეგ.

5. საქართველოს მთავრობა ადგენს „ტექნიკურ რეგლამენტს - ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის სტანდარტი“, და, ამასთანავე, განსაზღვრავს ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის იმ მასალებს, რომლებზეც არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის სტანდარტი“.

6. საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვალდებულების აღსრულებისას გაითვალისწინება ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სამართლის სუბიექტზე პროპორციული ტვირთის დაკისრების პრინციპი.

7. პირს, რომლიც მიიჩნევს რომ მისი უფლება დაირღვა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოსა და კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევისთვის და მოითხოვოს შესაბამისი ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს მთავრობამ 2026 წლის 31 ოქტომბრამდე დაამტკიცოს „ტექნიკური რეგლამენტი - ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის სტანდარტი“ და განსაზღვროს ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის ის მასალები, რომლებზეც არ

ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის სტანდარტი“.

2. ადმინისტრაციულმა ორგანომ და ამ კანონის რეგულირების სფეროში შემავალმა კერძო სამართლის სუბიექტმა უზრუნველყონ 2027 წლის პირველი იანვრიდან გამოქვეყნებული ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ტექნიკურ რეგლამენტთან - ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის სტანდარტი“.

3. ადმინისტრაციულმა ორგანომ და ამ კანონის რეგულირების სფეროში შემავალმა კერძო სამართლის სუბიექტმა 2032 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყონ 2027 წლის პირველ იანვრამდე გამოქვეყნებული ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ტექნიკური რეგლამენტთან - ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის სტანდარტი“.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2027 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**